



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(20) 2012 წ. 16-31 მატი ფასი 50 თეთრი

**ინოვაციური და არჩევანის სამსახური**  
*მესამე-მეოთხე გვერდები*

**სპორტი**



*მეშვიდე გვერდი*

**მხსენებელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან**

*მეორე გვერდი*

**ჯიბის მონეტებზე საპროექტო**

*მეექვსე გვერდი*

**ქალი - შრომელი**

*მესამე გვერდი*

# გვიხმობს ნაზამთრალი მინა ოპტიმალურად გამოვიყენოთ სენა-თესვის აგროვალები

დადგა 2012 წლის გაზაფხული. თუმცა ეს კალენდარულად უფროა. ზამთრის ჩვეული ატრიბუტები სიცივე და ყინვა ჯერაც არ გვეხსნება. დამდამობით ტემპერატურა მინუს 8-9 გრადუსამდე ეცემა. ეს ალბათ, კავკასიონსა და ცივ-გომბორზე შერჩენილი თოვლის გამოა. ასეთ პროგნოზებს მეცნიერები უკვე კარგა ხანია აკეთებენ, თუმცა ეს საუბრის ცალკე თემაა.

ერთი სიტყვით, წელს ნაგვიანევი გაზაფხული გვაქვს, რაც არაერთ პრობლემას შეუქმნის ჩვენს მიწათმოქმედებს. ზამთრის დიდთოვლობის გამო დაუმუშავებელია მიწები, რასაც გარკვეული დრო სჭირდება და ცხადია, ჩამორჩენას გამოიწვევს საგაზაფხულო ხენა-თესვაში, ამიტომ დროისა და ამინდების დაშურება მართებოთ ჩვენს მხენელ-მოთესველებს, რათა დროულად მიაბარონ მიწას წლის ჭირნახულისათვის თესლი. ამ საქმეში მათ გარკვეულწილად დახმარებას გაუწევთ იმის ცოდნა, თუ რომელი კულტურისათვის თესვის რა აგროვალებია გათვალისწინებული.

პროფესორ გიორგი ცაგურიშვილის მიერ ფერმერებისათვის მომზადებული სახელმძღვანელოს „ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების“ მიხედვით საგაზაფხულო ხორბლის თესვის ოპტიმალური ვადები თელავისა და მცხეთის რეგიონებისათვის პირველი მარტიდან 25 მარტამდეა. იგივე ვადებში ითესება საგაზაფხულო ქერი. რაც შეეხება შვრიას, იგი უნდა დაითესოს რაც შეიძლება მალე, ფართობში გასვლის შესაძლებლობისთანავე. სიმინდი – პირველი და მეორე კლასის თესლი – ითესება ნიადაგის 10-12 გრადუს ტემპერატურამდე გათბობის შემთხვევაში, რისი დროც კახეთისა და ქვემო ქართლის ზონებისათვის 15 აპრილიდან ღებება.

**ლობი** – ითესება სათანადოდ მომზადებულ 10 სმ ფენის 10-12 გრადუსზე გათბობისას, ისე, რომ ჰექტარზე 250 ათასი მცენარე განვითარდეს.

**ზენური** – ამ კულტურის თესლი გადივებას იწყებს 4-6 გრადუსზე, ხოლო ინტენსიურად ღვიდება 8-10 გრადუსზე. აღმონაცენი უძლებს 8 გრადუს ყინვას. მისი თესვა რეკომენდებულია მარტის

ბოლოს – აპრილის დასაწყისიდან.

**ჭარხლი** – ამ კულტურის თესვის ოპტიმალური ვადაა აპრილის პირველი ნახევარი, როცა ტემპერატურა 9-11 გრადუსია.

**პამიდვის** აქტიური ზრდა 16 გრადუსზე იწყება. ეს კულტურა ითესება როგორც ნიადაგში, ასევე გამოჰყავთ ჩითილები სხვადასხვა პერიოდისათვის. საადრეო ჩითილი ითესება 50-60 დღით ადრე გრუნტში გადარგვამდე. ჩითილი ირგება 7-8 ფოთლის ფაზაში. ღია გრუნტში დასათესად აგროვალდება 20 აპრილი – 10 მაისამდე, იგივე ვადებია დაწესებული **წიწკის** და **ბაღოვანისთვის**.

**კიტრი** – აღმოცენებას იწყებს 12-13 გრადუს სითბოზე. მისი თესლი ვერ უძლებს ყინვას და ღებება. ამ კულტურის თესვისათვის მიზანშეწონილია ვადა 20 აპრილიდან 10 მაისამდე. იგივე აგროვალებში უნდა დაითესოს **სახამ-თრ. ნესვი. გოგრა.**

თავიანი **კომოსტო** – მას რგავენ სხვადასხვა სეზონზე, – შემოდგომით, გაზაფხულზე, ზაფხულში. მისი თესლი გადივებისუნარიანია 2-3 გრადუს

სითბოზე, საადრეო კომოსტო ითესება 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, რომ ნოემბერ-დეკემბერში გადაირგას. ნაადრევი მოსავალი უკვე აპრილის ბოლოსათვის აიღება.

**კალნაბი** ანუ ყვავილოვანი კომოსტო ითესება ძირითადად აპრილის შუა რიცხვებში, როცა მიწა 10-15 გრადუსამდე გათბება.

**სხვი** – თესლს ახასიათებს გვიან აღმოცენება (15-20 დღე). ითესება ადრე გაზაფხულზე, ზამთარში ან ზამთრის პირას. მწვანედ სახმარად ითესება ივლის-აგვისტოში. თესვის ნორმა თესვის წესის შესაბამისად იცვლება 4-10 კგ-ს ფარგლებში 1 ჰექტარზე.

ნიორი – თუ მისი დათესვა შემოდგომაზე ვერ მოხერხდა, მაშინ ირგება თებერვალში ან მარტის პირველ ნახევარში. მწკრივში ირგება 4-8 სმ დაშორებით.

**სტაფილო** – ითესება ადრე და გვიან გაზაფხულზე, ზაფხულში ან ზამთრის პირას.

მოამზადა:

გივი დაბახიშვილი

# მუნიციპალური გვერდი

## შეხვედრები მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან

მიმდინარე წლის 20 მარტს, კახეთის მხარის გუბერნატორი გიორგი ღვინია შვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრები გამართა სოფ.

მზის გულის, ყანდაურის და კაკაბეთის მოსახლეობასთან. ადგილზე გაეცნო სოფლებში არსებულ პრობლემებს და ამ პრობლემების გადაჭრაში დახმარება აღუთქვა. *(მუნიციპალიტეტის პრესსამსახურის მახალა)*



# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს ამავე მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე, მშენებლობაზე და არქიტექტორულ საქმიანობაზე წინადადებების მომზადებას.



**დავით ხაჩიკიანი**  
სამსახურის უფროსი

დაიბადა 1963 წელს. 1980 წელს შევიდა ქ. საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1980 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1985 წელს დაამთავრა.

1986-87 წლებში მუშაობდა საგარეჯოს სამკურნალო - შრომით პროფილაქტიკურ უბანში.

1987-1998 წლებში მუშაობდა "სოფლქიმიის" საგარეჯოს რაიგაერთიანებაში სხვადასხვა თანამდებობებზე.

2002-2004 წლებში მუშაობდა კახეთის პიდრომეტროლოგიური და რადიოლოკაციური დაკვირვების სამსახურში.

ჰყავს მეუღლე მანანა არჩუაძე და ორი შვილი - თენგიზი და არჩილი, ორივე სტუდენტი.

2009 წლიდან მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურში ჯერ მთავარ სპეციალისტად, შემდეგ კი - 2011 წლის სექტემბრიდან ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსად.

**თედო გზირიშვილი**  
მუნიციპალიტეტის მთავარი არქიტექტორი



დაიბადა 1951 წელს. 1967 წელს დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა.

1968 -1973 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1974-1980 წლებში მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ "თბილხნივაში" არქიტექტორად და შემდეგ უფროს არქიტექტორად.

ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში, 1978-1980 წლებში იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში პიდროკვანძ პობაინის საცხოვრებელი რაიონის დაპროექტებამშენებლობაზე.

1980-1983 წლებში მუშაობდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო კანტორა "ინტურისტში" საპროექტო ჯგუფის უფროსად.

1983-1986 წლებში მუშაობდა "საქავტობა-ზომენის" სამხატვრო-გამგორებელ საწარმოში არქიტექტორად.

1986-1989 წლებში მუშაობდა საქართველოს №11 ტრესტის მოძრა-მექანიზებულ კოლონა №36-ში მშენებლობის ოსტატად.

1989-1991 წლებში- საგარეჯოს ინდონათმშენებლობის სპეცსამმართველოს მხატვარ-გამგორებელად.

1991-1992 წლებში კოოპერატივ "ადმ-26-V"-ს თავმჯდომარეა.

1992 წლიდან საგარეჯოს რაიონის მთავარი არქიტექტორია დღემდე.

1980 წლიდან საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრია.

მიღებული აქვს ვიეტნამის რესპუბლიკის "ხალხთა მეგობრობის" მედალი.

მეუღლე - მანანა გზირიშვილი, მხატვარი, ამჟამად დიასახლისი, შვილები: ვიქტორი - გამომცემლობა "პალიტრა-L"-ის დიზაინერი, თამარი-ჩინური ენის სპეციალისტი, ნინო - სტუდენტი.

**დავით ბაკურაძე**  
მშენებლობის განყოფილების გამგე



დაიბადა 1961 წელს. 1978 წელს დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა. მუშაობდა საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობა "გარეჯის" მეცხოველეობის კომპლექსში მუშად. 1981-1986 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგროსაგზო ფაკულტეტზე.

1986-2004 წლებში მუშაობდა საგარეჯოს საგზო სამმართველოში. 2004 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. ამჟამად მშენებლობის განყოფილების გამგეა.

ჰყავს მეუღლე მაია ფანოზიშვილი-საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი, შვილი-ავთანდილ ბაკურაძე.

**ლევან ნაპულაშვილი**  
სამსახურის მთავარი სპეციალისტი



დაიბადა 1972 წელს. საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლა დაამთავრა 1989 წელს. სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, პარალელურად მუშაობდა გარეჯოს დამხმარე საწარმოების საქმიან ეზოში მუშად. 1992-1995 წლებში მუშაობდა ფირმა "სათავეში", 1995-1996 წ. მუშაობდა საბინაო-კომუნალურ მეურ-

ნეობაში ეკონომისტად. მუშაობის პარალელურად 1996-2001 წლებში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. 1998-2003 წლებში ქალაქ საგარეჯოს გამგებლის თანაშემწეა, 2003-2007 წლებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის განყოფილების წამყვანი სპეციალისტია, 2007-2009 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის არასაგადასახადო შემოსავლების განყოფილებაში მთავარი სპეციალისტია, 2009 წლიდან დღემდე მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში მთავარ სპეციალისტად.

ჰყავს მეუღლე-ნონა რევაზიშვილი და შვილი-ნიკა, მოსწავლე.

**გიორგი ბურბენიძე**  
სამსახურის სპეციალისტი



დაიბადა 1956 წელს. 1972 წელს დაამთავრა საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა.

1972-1975 წლებში მუშაობდა საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობაში მუშად. 1975-1981 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტზე.

1981-1983 წლებში მუშაობდა ქვემო სამგორის წყალთა მეურნეობაში ოსტატად, 1985-1988 წლამდე -საგარეჯოს რაიადმასკომის არქიტექტურის განყოფილების საპროექტო ჯგუფის უფროსია, 1991-2004 წლებში შპს "ინჟინერის" დირექტორია, 2004-2006 წლებში საგარეჯოს მიწის სამმართველოს უფროსი. 2011 წლიდან დღემდე მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში სპეციალისტად.

ჰყავს მეუღლე-ნინო ტაბიძე, ექიმი-პედიატრი, შვილები ალექსანდრე და დავითი, სტუდენტები.

**ბივი ონაშვილი**  
სამსახურის მთავარი სპეციალისტი

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძელში 1947 წელს. პატარძელის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1974 წელს დაამთავრა სწავლული აგრონომის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სამეურნეო თანამდებობაზე.

1976 წლიდან მუშაობდა დაიწყო მანავის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად.

შემდეგ მუშაობდა საგარეჯოს საექსპორტო და სამარკო ღვინის ქარხანაში მომარაგება-გასაღების განყოფილების გამგედ.

1980 წლიდან საგარეჯოს მეკაკლეობის სპეციალისტად მუშაობის დირექტორია.

1987 წლიდან პატარძელის მეცხვარეობის სამეურნეობაში მუშაობის დირექტორია.

შემდეგ კი მიწის მართვის სამმართველოს უფროსია.

წლების განმავლობაში მუშაობდა საგარეჯოს სატყეო მეურნეობის დირექტორად.



2005 წლიდან მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მთავარ სპეციალისტად.

სამეურნეო საქმიანობასთან ერთად იგი ეწეოდა სპორტულ მოღვაწეობას. არის ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ჭიდაობა დიულოში.

მიღებული აქვს მთავრობის სხვადასხვა ჯილდოები.

ჰყავს მეუღლე - მაცყალა ონაშვილი, დიასახლისი, ოთხი შვილი: ნინო - ხორცისა და ხორცპროდუქტების ტექნოლოგი, მარინა - იურისტი, შორენა - უცხო ენების სპეციალისტი, ირინა - იურისტი.

ჰყავს 7 შვილი-შვილი

**ნინო ბამყრელიძე**  
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი



დაიბადა საგარეჯოს რ-ნის სოფ. ბადიაურში 1969 წელს.

1987 წელს დაამთავრა სოფ. ბადიაურის საშუალო სკოლა. 1989-94 წლებში სწავლობდა თბილისის ს-ს ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

1988-90 წწ-ში მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სოფ. შიბლიანის არასრული საშუალო სკოლის მასობრივ ღონისძიებათა ორგანიზატორად.

1990-1997 წწ-ში იყო საგარეჯოს №2 საშუალო სკოლის მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელი და მასობრივ ღონისძიებათა ორგანიზატორი.

1997-2004 წლებში - უმუშევარი.

2004-2005 წწ-ში საგარეჯოს №11 საოლქო-საარჩევნო კომისიის მდივანი;

2005-2010 წწ. - საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანებაში სხვადასხვა წამყვანი სპეციალისტობაზე;

2010-2011 წწ-ში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი;

2011 წლიდან კი დღემდე არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი.

ჰყავს მეუღლე - გიორგი ფირყულაშვილი და ორი შვილი: ვერიკო და გიორგი ფირყულაშვილები.

# საგარეო უნიონ-კალიფორნიის გაგვიანების ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური

დასასრული

ბიორბი ოსიქიშვილი სამსახურის სპეციალისტი



დაიბადა 1971 წელს, საგარეო უნიონ-კალიფორნიის პირველი საშუალო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ 1990 წელს დაამთავრა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიის ბურდვის ფაკულტეტი მენეჯერის ტექნიკოსის სპეციალობით. 1991-1992 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალურ ტექნოლოგიის მართვა და კომერციული საქმიანობა.

1990 წლიდან მუშაობდა საგარეო უნიონ-კალიფორნიის საწარმოო წამოწყებაში-მეჩინიკური სამუშაოების ტექნიკოსად თუნუქის საამქროში. 1990-1992 წლებში სამშენებლო კოორპორაციის „კალატოზში“ ოსტატი. 1993-1997 წლებში მცირე საწარმო „ორბის“ დირექტორის მოადგილე. 2004 წლიდან საგარეო უნიონის საინჟინერო განყოფილების მთავარი სპეციალისტი. 2008 წელს იყო საარჩევნო ოლქი №11-ის საგარეო უნიონის საარჩევნო კომისიის წევრი. ამავე წლიდან საგარეო უნიონის მენეჯერის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი.

ჰყავს მეუღლე-თეა ხატიაშვილი, საგარეო უნიონის სამუსიკო სკოლის დირექტორის მოადგილე და შვილი-საბა.

ნიკოლოზ კონსტანტინიძე სამსახურის სპეციალისტი



დაიბადა 1988 წელს, 2005 წელს დაამთავრა საგარეო უნიონის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2010 წელს.

ჰყავს მეუღლე – თონა ბუხარიაშვილი და შვილი -ლუკა.

სცენის სიყვარული როდის შეიძინა მასში, აღარც ახსოვს. უყვარდა ცეკვა იმდენად, მამის წყალობით კი დაიწყო ცეკვაზე სიარული. რა კენა, ცეკვაზე ბოლო, ცეკვაზე, ცეკვაზე და მასზე მეტად არავის უხდებოდა ცეკვა, რადგან იგი ცეკვის ნაპერწკალი, ელევა გადმოდიოდა სცენიდან ამ კაფანდარა გოგონასაგან. თუმცა ყველაზე ბოლოს იდგა, გამორჩეულად მაყურებელი მინც მას უყურებდა, აკვირდებოდა მის მოძრაობებს, გრაციოზულობამდე მისულს და მეტი ოცნებებიც მას ეკუთვნოდა. რატომ? მარტო ცეკვა არ უხდებოდა, ყველა იცნობდა, არავისათვის დაიშურებდა ტკბილ სიტყვას, კეთილ დიმილს... უყვარდა საგარეო უნიონი და აკი ოჯახის შექმნის შემდეგ მიღიანად გადმოიბირა კიდევ იმერული ბიჭი... სიყვარულს თავისი ნაყოფიც მოჰყვა – სოფო, ვასილი... ახლა უკვე ოთხი შვილიშვილის ბებიია და მომავალშიც მოელის პაწაწები...

მაგრამ შვილებს ხელი არ შეუშლიათ ესწავლა უმაღლესში – თეატრალურ ინსტიტუტში, შემდეგ დაემთავრებინა მეორადი ფაკულტეტი – იურისტის კვალიფიკაციით...

ეგ არის ვერ მოხილვდა სცენას, თეატრს, პირველი „ნათლობა“ ხომ თეატრის სცენაზე მიიღო – 14 წლისამ 72 წლის ნადეჟდა ფილკოვას როლი შეასრულა. სპექტაკლი „წმინდანები ჯოჯოხეთში“ ვარდებოდა, როლის შემსრულებელი შეუძლოდ შეიქმნა, სხვაგვარ ვერ იპოვეს და თინამ „გარისკა“. გრიმის გაკეთებისას რეჟისორი ვანო ესაძე გრიმორს აძლევდა, მეტი ნათქვამი გაეკეთებინა ნადეჟდასათვის, მაგრამ – რა ვუყო თვალებს, თვალებსაც ხომ გრიმს ვერ გაუეკეთებ, იქიდან 14 წლის ეშმაკუნა რომ გვიყურებსო?! – აკვირდებოდა რეჟისორის ანიჟებს გრიმორი. თინამ კი შემთხვევითი როლი კარგად ითამაშა.

შემდეგ რეჟისორ მამუკა აძილახვართან სპექტაკლში „სად ხარ, ჩვენი მებაღეო“ ითამაშა. მაგრამ მისთვის ყველაზე საყვარელი როლი თონაა „დაგვიანებული ბედნიერებიდან“. მაშინ თინა მეზერისშვილი 23 წლის იყო. შემდეგ კი ეს როლი 45 წლისამ შეასრულა, თავად იყო რეჟისორიც და მთავარი როლის შემსრულებელიც – მთლიანად განაახლა სცენარი, ძველი მსახიობებიდან მხოლოდ ქიტა ბუხიაშვილი და თვითონ იყვნენ სპექტაკლში. სპექტაკლი მაყურებელს ძალიან მოეწონა. 1993 წლიდან თინა საგარეო უნიონის სახელმწიფო უნიონის თეატრის დირექტორია. ამ პერიოდში იყო სურვილი ახალი სპექტაკლის დადგმისა, მაგრამ რეჟისორი მხოლოდ თბილისიდან სიარულს უნდებოდა იმ დროს (ეს ახლაც ყველას გვახსოვს). თინამ დირექტორობასთან ერთად იტვირთა რეჟისორ-



გენეტიკას უდიდესი მნიშვნელობა უკანასკნელ ხანს მიენიჭა თორემ, სანამ ეს ტერმინი გამოჩნდებოდა ჩვენი წინაპრები ქალს ისე არ შემოუშვებდნენ ოჯახში, თუ მის ჯიშსა და ჯილაგს არ გაიკითხავდნენ – იცოდა თუ არა ოჯახის მოფრთხილება, შეეძლო თუ არა ისეთი შთამომავლობის მიცემა, რომელიც გვარის დირექტორებს გადაარჩენდა და უფრო წინ წასწავდა. როცა თამარ იორამაშვილი, დღეს ყველასათვის ცნობილი მხატვარი, დეკორატორი და კომუნიკაბელური, კონტაქტური პიროვნება საგარეო უნიონის ელერდაშვილების რძალი უნდა გამხდარიყო, გაკითხვაც არ გასჭირვებიათ, თითოეულმა სართიკალელმა იცოდა, როგორ ოჯახში გაიხარდა, რა სულიერი ღირებულებების თავიანთსმცემლები იყვნენ მისი მშობლები და საერთოდ, ოჯახი. გულდასაწყობად ღიად მხოლოდ მრავალშვილიანმა ოჯახმა ნაბოლარა, ნანატრი ბიჭის მეუღლე და

# ქალი მხატვარი მსახიობი, ქორეოგრაფი, მოცეკვავე

ბა და ამ პერიოდში მართლაც წარმატებულად დაიგა ზაურ სვანიძის „რეპერტორია, ანუ ტრაგედიის დასაწყისი“. სწორედ იმ უშუქობის, მხედრონისა და განუკითხაობის წლებში საგარეო უნიონის სახელმწიფო უნიონის თეატრის სცენაზე არაერთი ღონისძიება გამართულა. ახლაც ნათელ წერტილად გვახსოვს „ფორების მეჯლისი“, უღამაზეხეი გოგონების „სიღამაზის კონკურსი“, რომელიც თინა მეზერისშვილის სულსწინადგმითა და ორგანიზატორობით იმართებოდა... გვიღამაზეხეი, გვიღამაზეხეი ცხოვრებას ისეთ წლებში, როცა გაუცხოება უცხო აღარ იყო. ხან დეკლამატორი იყო, ხან მთავარი როლის შემსრულებელი, რეჟისორი, და ყველანაირ დატვირთვის თვითონ იღებდა ეს სუსტი, კაფანდარა ქალი, რომელიც დღესაც გოგონას უფრო ჰგავს. თავისი გარეგნობითა თუ ადამიანებთან ურთიერთობით.

ვერ მოიხვეწა, არ მოახვეწა თავისმა ნიჭმა და უნარმა და ქორეოგრაფიაშიც სცადა თავი – მართლაც რომ საჭირო და აუცილებელი იყო – ქალი ქორეოგრაფი, რათა გოგონების მოძრაობები არ გაუხეშებულყოფო. დღეს მისი ანსამბლი „იმედი“ ერთ-ერთი წარმატებული ანსამბლია არა მარტო საქართველოში – მათ სახელი თურქეთშიც გაითქვეს.

კიდევ ერთ ნიჭზე გვინდა ვთხროთ, თუმცა ჩემზე კარგად მისმა გარემოცვამ, უამრავმა მეგობარმა და საგარეო უნიონის იცის. ერთ ხანს თინა მეზერისშვილი თავის თავს „პროსტა მარიასაც“ უწოდებდა. თუმცა, ახლაც ვერ მიახვია თავი კერვას. ახლა ბევრი დამწვევი „გამოსტევა“ ტელევიზიით და თავს „დიზაინერად“ გაგვაცნობს. თინა კი გარდა ჩვეულებრივი ტანსაცმლის დიზაინერობისა, ქმნის, დიას, ქმნის ქორეოგრაფიული ანსამბლის გოგონათა კაბებს, იცის, სხვა ვერანაირად ვერ შეკერავს იმ კაბას, რომელიც გოგონას მოძრაობას მეტ ეფექტს, გრაციოზულობას შემატებს სცენაზე. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მატერიალური დაინტერესებულობა, მას დროც მეტი მიაქვს, მეტ ფიქრს, შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს, მაგრამ ვერავის ანდობს, რადგან ეროვნული ტანსაცმლის შეკერვას სული და გული უნდა ჩააქსოვს.

თინა მეზერისშვილი ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც მხოლოდ თავიანთი სიამოვნებისთვის, საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად არ ეჭიდებიან გარეგნულ სიძინელებს.

ასე იყო მისი მონაწილეობა სატელე-



ვიზიო პროექტში „მე ვარ ქალი“... „კომპლექსიანი“ კახელებიდან ვინ მიიღებდა მასში მონაწილეობას, როცა დასავლეთ საქართველოს ათეულობით წარმომადგენელი ჰყავდა პროექტში. მაშინ დიდი კახეთი გულშემოტკივრობდა თინას. რადაც თავისებური შარში, მიმზიდველობა ჰქონდა, ამიტომაც ინტერესიც და მხარდაჭერაც დიდი იყო თინასადმი. მაგრამ არსებობს რადაც, რამაც გადააძლია იმ მხარდაჭერის გარეგნული პროცენტი და არც ახლა მიჭირს თავისუფლად თქმა – გაიმარჯვა მან, ვისაც მეუღლის ეკონომიურმა მდგომარეობამ – „ჯეოსსელის“ ფასიანი ზარების პროცენტულმა რაოდენობამ მისცა შანსი პირველ ადგილზე გასვლისა. თინა მეზერისშვილი კი ამ დროს იყო უბრალოდ – თინა მეზერისშვილი, თავისი მეობითა და შესაძლებლობებით. მეუღლე – დიდი ხნის გარდაცვლილი, მართალია, საგარეო უნიონში ედგა, მაგრამ, აქ უკვე ათასობით შესულ ზარზე იყო საუბარი. თინა კი ახლაც იმას ამბობს: – მერ ვალში ვარ ჩემი საგარეო უნიონის სიყვარულში. მათ მხარი დამჭირებს ამ პროექტში და საკმაოდ აქტიურად, დიდი სიყვარულით და პატივისცემით. ხშირად ვფიქრობ, როდესმე თუ გადავიხდი ამ პატივისცემას, ამ სიყვარულს?!

და ბოლოს, თინა მეზერისშვილი ერთი იმთავანია, ვისაც ტკივილამდე უყვარს საგარეო უნიონი, თავისი პროფესია, თავისი საშუალო. მისთვის სამსახური ცხოვრების ნაწილი და ცხოვრების აზრია, ის სტიმულია, რომელიც ყოველ დღეს სიხარულით და იმედინად უთენებს.

# მხატვარი

თამრიკო მთელ უბანს შეუყვარდა – უქმად ვერასოდეს ნახავდით, ყველას აკვირებდა მისი შრომისმოყვარეობა, შემოქმედებითი უნარი და ადამიანებთან თავიდანვე აწყობილი ურთიერთობები. ჯერ ერთი სახლის ეზო-კარ-მიდამო გაიფიქრა ყვავილნარით, შემდეგ უფრო დიდ სახლში გადასახლდნენ და იქაური ეზო-გარემო ხომ ბაღნარად აქცია. რა უნდა ყოფილიყო, რა საქმე, მის ხელს არ გაეკეთებინა და დღესაც ასეა. შეიძლება გაგიკვირდეთ კიდევ, მაგრამ ხატვის ნიჭთან ერთად, არანაკლები ნიჭი აქვს ქსოვის, კერვის, კედლების შეეთერებისა თუ მასზე შალისების გაკერვისა.

დიდ, შრომისმოყვარე ოჯახში გაიზარდა, სადაც მარტო შრომას კი არა, ხელოვნებას სცემდნენ დიდ პატივს. მამამისი გოგი იორამაშვილი მუსიკის ნიჭთან წინაყარი იყო, შეეძლო აკორდეონისა თუ სხვა მუსიკალური საკრავი ნიუთის დაშლა-აწყობა, ემარჯვებოდა ყველა ის საქმე, რასაც ოჯახი, ქართული ყოფა-ცხოვრება მოითხოვდა. დედამ ყველა ის საოჯახო საქმე ასწავლა, რაც თავიდანვე თავის შვილებს ქეთის, მერისისა და მარიამს გადასცა – ქალი ხარ და უნდა შეგეძლოს კერვა, ქსოვა, ცხობა, სადილების მომზადება, ოჯახისათვის ქართული სულის შენარჩუნება.

თამრიკომ თოძის სასწავლებლის კურსის ფაკულტეტზე სწავლისას შესანიშნავი პრაქტიკა გაიარა პედაგოგ სუხანა ყიფშიძისთან და ცაგა გელაშვილიანთან. ამისთან, სასწავლებლის სტუდენტებს ხშირად უხდებოდათ ზურაბ წერეთელის

შეკვეთების შესრულება – კერამიკული ნიუთების შექმნა. თამრიკო საუბარში დიდი სიყვარულით იხსენებს ზუგდიდის კურამიკის ქარხანაში მიღებულ პრაქტიკას. იმუშავა თხევად ოქროზეც, საკურსო ნამუშევრებიც უმნიშვნელოვანესი იყო – ეს იყო ყავის სერვისი, დეკორატიული თევზი, რომელზედაც გრაფიკული მანერით ჰქონდა შესრულებული სამუშაო. საინტერესო აღმოჩნდა ჩაის ლამაზი და ფინჯანი – ფაფურზე ვერწერულად შესრულებული ნახატები, რომელიც სასწავლო კალმის წვერით გააკეთა, ეს იყო პირველი ცდა საერთოდ, კალმის წვერით გრაფიკული შესრულებისა. სწორედ ამ მუშაობისას თამრიკომ ფერების ისეთი კომბინაციით მიიღო რელიეფი, რომელზედაც მეცნიერები წლები მუშაობდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, ნამუშევარი დაიკარგა, სხვამ მისიკურთა.

თამარმა შრომითი საქმიანობა სართიკალის 8 წლიანი სკოლიდან დაიწყო – ასწავლიდა სახვით ხელოვნებას. შემდეგ შექმნა ოჯახი და როცა მესამე შეიქმნა კლდეებში, მაშინ ჩააბარა მისადები გამოცდები სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო ხაზვა-ხატვის მეთოდის სპეციალობა. სწავლის პერიოდში მუშაობდა საგარეო უნიონის საშუალო სკოლაში გააგრძელა. მუშაობდა სასწავლო კაბინეტების გაფორმებაზე. ყველა აღფრთოვანებული იყო მის მიერ გაფორმებული ილიას, ვაჟას კაბინეტებით.

დღეს და აღრცე, როცა ხედავს, როგორი ნიჭიერი ბავშვები არიან, რომელთაც შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი უნარი და

# ქალი მემორიალი კაფიების მთქმელი



მხატვრის დიდებაში (მხატვრის) მეგობარებთან

მთაში ნიჭიერი ადამიანები ცხოვრობენ. უყვართ პროზა-პოეზია და, მიუხედავად ბევრი საქმისა და მძიმე შრომისა, თავადაც ძალიან ლამაზად წერენ. უმდიდრესია მათი შემოქმედების ჟანრი და თემატიკა. ბუნებრივად, სიხარულს, ტკივილს, უბედურებას – ყველაფერს ლექსად ამოთქვამენ.

ვისაც ფოლკლორი უყვარს, იმან კარგად იცის, რომ ფშაურ პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს კაფია-გალექსობას. კაფიაობაში ფშაურებს არც ხეცურები და მთიელ-გუდამაურები ჩამორჩებიან. ორი ნიჭიერი ადამიანი მოპირდაპირე მხარეებზე ითვლება. ერთი ეტყვის ლექსს ან შეუძლებს მეორეს და მოპაექრემ მაშინვე პასუხი უნდა დაუბრუნოს, თორემ წაგებულად ჩაითვლება. ამას ექსპრომტულ-დილოგური კაფიაობა ჰქვია. კაფია დაბარებულიც არსებობს და გაგზავნილიც. ვინც ფოლკლორს კითხულობს ან მთიელებთან უცხოვრობს, მან იცის, რომ ლექსითა და კაფიით ნათქვამი არაფერი უნდა გეწვიოს, თორემ წაგებული ხარ; გაბრაზება არ შეიძლება, უნდა ეცადო – მახვილსიტყვიანი, რეალობაზე დამყარებული რამ თქვა.

ჩვენი რაიონის ერთ-ერთმა ნიჭიერმა ადამიანმა, აწ განსვენებულმა გიორგი არაბულმა რამდენიმე წლის განმავლობაში კოჭბანის საჯარო სკოლაში ჯერ მასწავლებლად და შემდეგ დირექტორად იმუშავა. პედაგოგიკტივიშიც პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ქალიშვილები დახვდნენ და თითქმის ყოველდღე (საგაკვეთილო პრო-

ცესის დასრულების შემდეგ) სამასწავლებლოში პოეზიის საღამოები იმართებოდა. გიორგი არაბული ხშირად უწერდა თანამშრომლებს კაფიებს და რამდენიმე პოეტური მუხით შთაგონებული მასწავლებელი ელექსებოდა კიდევ. მათ შორის ცნობილი მოლექსის მიხა დიდებაშილის ერთადერთი ქალიშვილი მარეხი, მართლაც პირმშვენიერი და ლამაზთმანი.

მარეხ დიდებაშილმა წარჩინებით დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მშობლიური სოფლის, კოჭბანის სკოლაში დაწესებითი კლასების მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

ერთ დღითაც თავის სამუშაო მაგიდაზე კაფია დახვდა: „ქალ არ მინახავ ქაჩალი, თმით ქონა, ალბათ, წესია, მარეხს რო დალალი აქვის, ტალი არის და კვესია. ე მაგ დალაღშიმც ჩამაღა, მტერი თუ შემოგვესია.“

გიორგი არაბული მარეხმა კაფია საჯაროდ წაიკითხა და ჯერ პასუხს არ ვაბრუნებო, განაცხადა. მეორე დღეს იგივე განმეორდა. სკოლაში მოსულ მასწავლებელს სამუშაო მაგიდაზე ახალი კაფია დახვდა:

„ტურფაო, ხოხბის თვალაო“... ხალხური შენ რომ ქალი ხარ, მარეხო, ნაშობო ამორძალადა, წარმატებულ სწორებსა,

გიშრის თმად, ხოხბის თვალადა. შენ რომ გიყურებ, ხანდახან ჭკუაზედა ვარ მწერალადა. რატო არ გშობა იმ ღმერთმა ჩემ ტოლად, ჩემად ცალადა?! უღამაზესი პასუხი დაუბრუნა მარეხმა გიორგი არაბულს:

სხვათად მოსული მთვარე ვარ, ვერ გაგინათებ შენ გზასა; ნატოს და მარეხს დაეხსენ, მიხედვ შენსა ღიდასა,\*

\* (ლიდა – გიორგი არაბულის მეუღლე რედ).

კაფიებს – დაგეჭიდება, დაბლა დაგაკრავს მიწასა. ძია გიორგის ძალიან უყვარდა ნამცხვარი. თანამშრომელი ქალბატონები სპეციალურად მისთვის აცხობდნენ და სკოლაში მორთმევდნენ ხოლმე. განსაკუთრებით მარეხის ნახელავი „შუ“ და „კელერი“ მოსწონდა, თან გაკენწლავდა ხოლმე; ჩემთვის ტკბილ სიტყვას ვერ იმეტებსო. და მისწერა:

საითრა გადაგეკიდე, საითრა შეგეკარეო, სხვათად თაფლო და შაქარო, ჩემდ ნაღველით მწარეო, კუბოში ჩამდეგ, ზედ მიწა ბევრ-ბევრი დამაყარეო. აი მარეხის პასუხიც:

მე ვერცა კუბოში ჩაგდე, ვერცა დაგაყრი მიწასა; ვისი ტოლი და ცალიც ვარ, ღმერთმა შემარგოს იმასა. ხანდახან ნამცხვრებს მოგიტან, შენ კი დასჯერდი იმასა.

მკითხველს ესსომება, დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ შლაპები შემოვიდა მოლაში. მარეხმა შეიძინა უღამაზესი, ძვირადღირებული შლაპა და სკოლაში ასე მოვიდა. ძია გიორგის ეს როგორ გამოეპარებოდა, შენაძენი ჩაჩქანს შეუდარა და კაფია შეაგება:

კოჭბან-გორანის მხარეში ნეტავი ვინმე თუ გგაო, ისეთი გემრიელი ხარ, როგორც კანფეტი ნუგაო. შენთვისამც დამწვა, დამდაგა, შენთვისამც გამასუქაო; ამ ლექსათ გიძღვნი, სილაღე, ბებერი ძალი ცუგაო... თმა – დალაღთ დაფარებული ჩაჩქანმც დაგებუგაო! მარეხმა მაშინვე უპასუხა: გიორგი მასწავლებელო, მე ხომ შენ არად გეხები, ჩემ ჩაჩქან შენ არას გიშლის, დააყე „ტატრა“\* ფეხები!

(საგარეჯოს მე-3 საშუალო სკოლის დირექტორობისას გიორგი არაბულს გაღუნული ფეხების გამო მოსწავლეებმა ზედმეტი სახელი „ტატრა“ (მანქანის მარკა. რედ.) შეარქვეს.)

ძალიან თბილი, ტკბილი და ლამაზი

ოჯახი აქვს მარეხ დიდებაშილს. მისი მეუღლეა ზაზა ხიზანიშვილი, მისივე თანაკლასელი, ძალიან კარგი ადამიანი, თელავის პედინსტიტუტადამთავრებული (ამჟამად გომბორის საჯარო სკოლის დირექტორია). პყავთ ორი ლამაზი შვილი – ნათია და რეზიკო. ნათია უკვე უმაღლესდამთავრებულია, რეზიკო წლეულს ამთავრებს სკოლას.

მარეხს მეორე შვილი რომ შეეძინა, წონაში ცოტა მოიმატა. დეკრეტიული შეგებულებიდან დაბრუნებულს გიორგი არაბულმა ისევე კაფია შეაგება:

ნეტავი შენა, მარეხო, თან სქელო, თანაც გამხდარო, ეგეთა მომხივლელო, ჩემდ სალექსოდ გამხდარო. შენთა დალაღთა წინაშე ღამის რო თავი დაეხარო. ერთი გულმართლად გითხარა: – აღარ მომწონხარ, გახარო!

ერთხელაც დღის წესრიგში დადგა საკითხი – მარეხის გომბორის სკოლაში მასწავლებლად გადაყვანის შესახებ. გიორგი მასწავლებელი იხვეწებოდა: „ოღონდაც არსად გაუშვათ მცხოვრები ნამცხვრებისაო“...

რამდენიმე ხნის შემდეგ თავად გიორგი არაბულმა დატოვა კოჭბანი და საგარეჯოში დაბრუნდა. მოპაექრეს კი ასეთი აკროსტიხი აჩუქა:

მ-არწვევსიტუნა, ხმანარნარი, ა-ნდამატი, გულგამობარი, რ-ომ აყრია თმა-დალალი, ე-რთი ქალის ფასი არი. ხ-მა არ გამცეს, სულ ტყუილად ი-ბღვირება მაგის ქმარი.

ამ პაექრობაში, როგორც ჩანს ორივე მოგებულა. თანამშრომლები ორივეს გულშემატკივრობდნენ.

... ასე ლექსობენ მთიელები: კაცები – კაცურ საქმეს შეჭიდებულნი, ქალები – საზოგადოებრივ და საღიასახლისო საქმეებით დაქანცულნი.

როგორც ჰაერი და წყალია ადამიანისათვის ყოველდღიურად საჭირო, ასე ლექსი მთიელი ადამიანისათვის. მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

ამიტომაც, რომ კაფიას მოისმენ ქორწილში, ნათლობებში, ხატობაში, „მუშანში“... ნახავ ყველგან: წიგნში, გაზეთში, ფურცელზე, მაგიდაზე და წიქვილის კარზე ნახშირით წარწერილსაც კი.

ლელია არჩვაშვილი

## მხატვარი

დასასრული

შესადლებლობები ხატვაში, ან კერამიკაში მუშაობით, დიდი სურვილი, უფრო სწორად, ოცნება აქვს – შექმნას წრე, სადაც ბავშვებს სიამოვნებით გადასცემს თავის ცოდნას, გამოცდილებას, დატვირთავს ბავშვის გონებას შემოქმედებითად, ხელებით კი შეაქმნეინებს ისეთ ნამუშევრებს, რომელთა დამთავრების შემდეგ თითოეული თავის თავს იპოვნის, გამოავლენს თავის ნიჭსა და უნარს. რაც შეეძლო და როგორც შეეძლო შეიღებეს მართლაც მისცა თავისი პროფესიის, საყვარელი საქმის სიყვარული – ქეთი ბავშვობიდანვე გრაფიკაშიც მუშაობდა, მაგრამ დღეს იურისტი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელია და აგრეთვე ვეღარ იცლის. მერსი კარგად ერკვევა კერამიკაში, თუმცა ეკონომისტი პროფესიით. მარიაში საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო სასწავლებლის ფსიქოლოგია-რელიგიის სტუდენტია, პარალელურად კი სწავლობდა თეატრზე მუშაობას, გამოფენებზეც მიუღია მონაწილეობა, სიამოვნებით მუშაობს ბისერზე.

თამრიკო დღეს რეჟისორ ნიკა საბაშ-



თამარ იორამაშვილის ნამუშევარი ფაიფურზე

ვილის მომავალი სპექტაკლის „ოჯახური იდილის“ მხატვრულად გაფორმებაზე მუშაობს, მანვე გააფორმა სპექტაკლები: „ნუ დამადანაშაულებ მე“... „ცხოვრება მშვენიერია“. ასევე, მისი ნახატებია თოჯინების თეატრის სცენას რომ ამშვენებს და საბავშვო თეატრის 55-ე წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სპექტაკლიც ნახატებით და სპექტაკლები „პიპოპოტამი“ და „ჩემებიანი მგელი“ მისი გაფორმებული იყო...

ქმნის ნახატებს, მუშაობს კერამიკაზე, ძალიან უყვარს ფერები, მის ნახატებში ფერები ყოველთვის იქ არის, სადაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს. ხატავს პეიზაჟებს, ყვავილებს, მუშაობს კერამიკაზე, მაგრამ ბოლო პერიოდში უკმაყოფილოა თავის – დიდ დროს ვერ ვუთმობ ხელოვნებას, რადგან ოჯახური გარემო ვეღარ მაძლევს ამის საშუალებას...

ისე, ხელოვანი ადამიანი ყოველთვის უკმაყოფილოა თავისი თავით და შემოქმედებით, სწორედ ეს მიუთითებს მის ჭეშმარიტ ზიარებას ხელოვნებასთან.

ბოლო ხანს დიდია ინტერესი იერუსალიმში არსებული ქართული მონასტრის მიმართ, თუმცა მენეჯმენტე საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ ქართველ მოღვაწეთა რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო. შემდეგ კი მეთვრამეტე საუკუნიდან აქ წირვა-ლოცვა ქართულად აღარ აღევლინებოდა. საქართველოს ძნელბედობის გამო თურქულ-ოსურების მიერ მონასტრებისათვის დაწესებული გადასახადი იმდენად დიდი იყო, რომ მისი გადახდა ბერძნებმაც ვერ შეძლეს და საპატრიარქო კონსტანტინოპოლში გადაიტანეს. ბერძნებმა შეისყიდეს ჯვრის მონასტერი და იგი ამჯერად ბერძნების იურისდიქციაში მოექცა. დღეს განჩნდა შანსი - მონასტერი ქართველებმა დავიბრუნეთ, რაშიც აქტიურადაა ჩართული საქართველოს ხელისუფლება.

რა ფასეულობას წარმოადგენს იგი ქართველებისათვის?

ჯვრის მონასტერი ქართველებისათვის ერთერთი უდიდესი საგანმანათლებლო კერა და სიწმინდეა. მონასტერი იერუსალიმის ერთ-ერთ ცენტრალურ და პრესტიჟულ უბანში მალხაში მდებარეობს. მასთან ახლოსაა ისრაელის პარლამენტი - ქნესეთი. თავად მონასტერი ზეთისხილის ბაღშია გაშენებული. ეს ადგილი ბიბლიურ თქმულებას უკავშირდება. როგორც თქმულება მოგვითხრობს, როდესაც ლოთი თავის ქალიშვილებთან დაეცა, ღვთისგან შენდობის ნიშნად აბრაამმა მას სამი ხმელი ტოტი გადასცა: ფიჭვის, ნაძვისა და სოჭის. ლოთს უნდა მოერწყა ეს ტოტები და, ღვთისგან პატივის ნიშნად, ერთი ხე აყვავებოდა. სწორედ რომ ასეც მოხდა - აქ ამოვიდა ხე, გაიზარდა, რომელიც შემდეგ სოლომონის ტაძრის მშენებლობისათვის მოჭრეს, მაგრამ მშენებლებმა ხე დაიწუნეს. ხე ხიდად გადაეს მდინარეზე. სწორედ ამ ხისგან დამზადებულ ჯვარზე გააკრეს ქრისტე. ჯვრის მონასტერში შემორჩენილია ადგილი, სადაც ეს ხე იდგა.

მონასტრის ტერიტორიის შესყიდვა მეფე მირიანს უკავშირდება, რომელიც ქართლის გაქრისტიანების შემდეგ ჩადის ბიზანტიაში, მონახულებს კონსტანტინე დიდს, შემდეგ კი შეისყიდის ამ ტერიტორიას და იქ ააშენებს სამლოცველოს. მეხუთე საუკუნეში იერუსალიმში ჯარით შევიდა ვახტანგ გორგასალი დედანთან და დასთან ერთად. სწორედ ვახტანგ გორგასალმა გაადიდა იქ არსებული სამლოცველო და ტაძრის მცველად სოფელ მალხაში 600 ქართველი დატოვა, რომლებიც თავიანთ თავს „გურჯებს“ უწოდებდნენ. მათ უნდა დაეცავთ ჯვრის მონასტერი. ჯვრის მონასტრის აღორძინება მეთვრამეტე საუკუნიდან იწყება. ამ დროს მონასტრის აღმშენებლობას იწყებს გიორგი პროხორე, ბაგრატ კურაპალატისა და მისი დედის - მარიამის ხელშეწყობით და ექვთიმე მთაწმინდელის კურთხევით. გიორგი პროხორე ბერძნულენოვანი იყო ტოკლარჯეთიდან, იყო პალესტინაში, საბა გამწმენდელის ლავრაში, სადაც რამდენიმე წელი მოღვაწეობდა. გიორგი პროხორემ განაახლა და გაამშენებინა ჯვრის მონასტერი. ჯვრის მონასტერი მაღალი გალავნითაა შემოვლებული, ეს უფრო პატარა ციხე-ქალაქია, რომლის ერთადერთი შესას-

# მართლმადიდებლობა

## ჯვრის მონასტერი და საქართველო



ვლელი კარი აღამიანის სიმაღლეზე დაბალია. გალავნის შიგნით არის სამ და ოთხსართულიანი ნაგებობების კომპლექსი. მთლიან ტერიტორიაზე 270-ზე მეტი ნაგებობაა, მონასტრის ძირითადი ტაძარი ჯვარგუმბათოვანია, იატაკი მთლიანად მოხაიკითაა შემკული და კედლები მოხატულია ფრესკებით. ტაძარში უამრავი წარწერაა შემორჩენილი.

მეთვრამეტე საუკუნეში იერუსალიმის მეფემ ბაღდადიმ მეოთხე გაზრდილი გადასახადებით შეაფორა ჯვრის მონასტერი და ზვრების ნაწილიც კი წაართვა. 1187 წელს სალადინმა მიიტაცა ჯვრის მონასტერი. გადმოცემის თანახმად, თამარ მეფემ 200000 დინარი შეაძლია, რათა დაებრუნებინა ჯვრის მონასტერი და ძელი ცხოველი. არსებობს ვერსია, რომ თამარ მეფის გასაიდუმლებელი საფლავი, შესაძლოა იყოს ჯვრის მონასტერში. ეს მონასტერი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ აქ მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი, რომელმაც გაამშენებინა მონასტერი და მოიხსენიება, როგორც შოთა მეჭურჭლეთუხუცესი. ტაძარში მისი სახე გამოხატულია ითანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფონზე წარწერით: „უფალო, შეიწყალე“. საქართველოს დაცემა - აღორძინება პირდაპირ პროპორციულია ჯვრის მონასტრის მდგომარეობასთან.

1273 წელს შიხ ხიდრის ბრძანებით, ჯვრის მონასტერი მეხუთე გადაკეთდა, მაგრამ, 1299 წელს, როცა მონღოლთა ხანმა-ყაზანმა, რომელსაც ქართული ჯარი ვახტანგ მესამის მეთაურობით ესმარებოდა, აქ აღდგომა იზეიმეს.

1515 წელს ჯვრის მონასტერში ჩავიდა და მოღვაწეობა დაიწყო ბეგნა ჩოლოყაშვილმა. აქედან დაიწყო მონასტრის აღმავლობაც. მე-17 საუკუნეში აქ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი მოღვაწეობდა.


როცა ბერძნებმა შეისყიდეს ჯვრის მონასტერი, მისი ერთ-ერთი წინამძღვარი წერდა, რომ : მონასტერი ეკუთვნით იბერიელებს და, თუ ოდესმე გაუჩნდებოდა სახსარი და სურვილი, ჩვენ მონასტერი მათ უნდა გადავცეთო.

მოლაპარაკებები სახელმწიფოს მაღალჩინოსნებსა და საპატრიარქოებს შორის დეტალზე უკვე მიმდინარეობს. ჯვრის მონასტერში, მოხაიკაზე, ლითონის ფირფიტაზე არსებული წარწერა: „ქართველნი, დეკით მტკიცედ და შეურყევლად“, დღეს ქართველობისკენ და სიმტკიცისკენ მოგვიწოდებს.

# ბოლო გზა

ბოლო გზა არი ოხერი, რამდენმა აიარაო. მოჰყვება გამცილებელი დააბინაონ ჩქარაო. დაბრუნდენ უკან სუფრაზე მასზე რო გაიშალო. ღვინო სვან, სადღეგრძელო თქვან წასულმა დაიბარაო. ძველებსაც გაისხენებენ, ზოგი გამოთვრა ჩქარაო. ბოლო ყველასი ეს არი თავს ზევით არ გვაქვს ძალო. ჩვენ გაუფრთხილდეთ ერთმანეთს ნუ ვლანძღავთ წარა-მარაო. ცხოვრება ძნელად საზიდი ბუნებამ მოგვიტანაო. ბედნიერება ჩვენ შევექმნათ, სხვა არ მოგვიტანს, არაო. სიკეთე ვთვსოთ სულ მუდამ, ცუდი არ გვინდა, არაო.  
დათო თოლომაშვილი

## დათო აბგარდნიშვილის მონატრება



მეხუთედ მოვიდა შენი და ჩემი უბედურების დღე, ჩემო საყვარელო შეილო, დათო!

დრო მკურნალია?! დედისთვის კი არა - ეს დრო ლოდინით გაწელილია... და უსაშველოდ მოკლევ. შენი ხმა, შენი დედის დაბახება, შენი კიბეებზე ამორბენა. მალე დაგენახა შენი დედა. ისევ მესმის და მეღანდები, შვილო. როგორ ვძლებ შვილო, უშენოდ - მიკვირს ჩემი გამძლეობის. მეგლოჯება გულის ის ნაწილი, რომელიც შენ გეკუთვნის. შენი ირავლი დიდი ბიჭია, შეილო, 10 წლისაა; ჩემთვის ძალიან ძნელია ის, რომ მე ვუყურებ მის გაზრდას და შენ ვერა, ვერ ხარობ იმის გაზრდით. იაკოს თვალეში ხან ისეთი ნადგელი აქვს, ლამის გავეციდე. შეპარვით მეკითხება რაღაცას შენს შესახებ. ნელა ჩაიცინებს, თუ ვინმე შენზე სახუმარო ამბავს მოუყვება. ასე გაიარა ხუთმა წელმა ჩემო მოუშუშებელო დარდო და ტკივილო, ჩემო ალაღვლო ბიჭო, მოსიარულე სიკეთე. მეგობრებისთვის თავგადაკალო, კაცურო კაცო. შენს შესანდობარში რას არ ამბობენ, შვილო, შენი მეგობრები, სიტყვები არ არის საკმარისი, ასე გახასიათებენ, შვილო.

არაფინ გივიწყებს შვილო, დათო! შენს საფლავს შენი ამხანაგები ხშირად აკითხავენ, უგლიან და ალაძაზებენ. შენი თავზარდამცემი წასვლა ყველასათვის დიდი ტკივილია. შენი გულდათუთქული მამა უცებ წაიყვანე, შვილო, დამტოვეთ ბედის ანაბარა. შენი ირავლი მაცოცხლებს, თორემ მამაშენი ვერ მაჯობდება...

ნათელში იყავით ჩემო შვილო დათო, შენცა და მამაშენიც. ჩვენ კი რაღა დაგვრჩენია - ვლოცულობთ თქვენს საფლავთან და შენი ძმა, ძმისშვილები, მეგობრები გინთებენ სანთლებს. შენი ძმისშვილი ნანუკა გიწერს ლექსებს. როგორც ამბობენ, ღმერთის რჩეული ხარ, შვილო, როცა ღმერთმა თავისთან წაგიყვანა, მაშინ წითელი პარასკევი თენდებოდა.

მე კიდევ შევავედრებ უფალს შენს ლამაზ სულს, რომ დაგიმკვიდროს ადგილი ცათა სასუფეველში.

დედაშენი

# აღდგომა

## დიდი მარხვა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული

ყოველთვის საინტერესოა და ხშირად ისმის კითხვა, რატომ აღინიშნება აღდგომის დღესასწაული ყოველ წელს სხვადასხვა დროს და რატომ ხდება აღდგომის თვისა და რიცხვის თანხვედრა გარკვეული პერიოდის შემდეგ?

აღდგომის დღესასწაული ძვ.სტ. 22 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით მოიწევა. ზემოაღნიშნული საეკლესიო დღესასწაული საეკლესიო სწავლებას ეფუძნება, რომლის თანახმადაც პასექის თარიღის დასადგენად ოთხი პირობის დაცვაა აუცილებელი:

1. პასექი იღვასწავლებს გაზაფხულის ბუნიობის დღის (ძვ.სტ. 21 მარტი) შემდეგ;
2. შემდგომად პირველი საგვემთვარეობისა (მთვარის მე-14 დღე), რომელიც გაზაფხულის ბუნიობის (დღელამტოლობის) დღეს ან მის შემდგომ მოიწევა (რომელსაც საპასექო საგვემთვარეობა ეწოდება);
3. კვირა დღეს, რომელიც საპასექო

სავსემთვარეობის შემდგომ მოიწევა; დაბოლოს,

4. არ უნდა დაემთხვეს იუდეველთა პასექს (ასევე არ უნდა მოიწიოს მასზე ადრე). ქრისტიანული პასექის აღსრულების უადრესი და უგვიანესი ვადების შესახებ სწავლება, უადრესად ნათლად არის წარმოჩენილი წმინდა იოანე ოქროპირის მიერ, რომლის მიხედვითაც:

თუ საგვემთვარეობა 20 მარტს მოიწევა, ჩვენ დავეტყვებთ მას და მომდევნო საგვემთვარეობას დაველოდებით, ხოლო თუ საგვემთვარეობა 21 მარტს ან მის შემდგომ უახლოეს დღეებში მოიწევა, მას ვიღებთ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საგვემთვარეობისას არ უნდა იყოს კვირა დღე. შვიდეულის სხვა დღე კი მისაღებია. მაშინ, ცხადია, რომ თუ 21 მარტს (დღელამტოლობისას) მოიწევა საგვემთვარეობა, რომელიც 21 მარტზე ადრე მოიწევა (მთვარის მე-14 დღე) და ის დაემთხვევა შაბათს, უადრესი თარიღი ქრისტიანული პასექისა 22 მარტი - კვირა დღე იქნება. ამდენად, აღდგომის დღის განსაზღვრისას მარტის საგვემთვარეობა, რომელიც 21 მარტზე ადრე მოიწევა, მაგალითად 19 მარტს, არ ითვლება საპასექოდ. ამგვარად, თუ მარტის საგვემთვარეობა 19 მარტს დაემთხვა, ჩვენ დავეტყვებთ მას და დაველოდებით საგვემთვარეობას, რომელიც 30 დღის შემდეგ - 18 აპრილს მოიწევა. ამასთან, თუ 18 აპრილი (ე.ი. საგვემთვარეობა) კვირა დღეს დაემთხვევა, აღდგომის დღე მომავალი კვირა - 25 აპრილი იქნება, რომელიც არის კიდევ ქრისტიანული პასექის უგვიანესი ვადა (წმინდა იოანე ოქროპირის თხზულებათა ტ.8 წ. 2. გვ. 968-970).

რაც შეეხება აღდგომის თარიღის განმეორადობის საკითხს, იგი პასქალიაში გამოყენებული პასქალურ-კალენდარული ციკლებით (4-წლიანი, 28-წლიანი „მზის ციკლი“, 19-წლიანი „მთვარის ციკლი“, 532-წლიანი ციკლი - დიდი ინდიქტიონი) არის განპირობებული, რის გამოც მეორდება მთვარის ფაზების, კვირის შვიდეულის დღეებისა და თვის რიცხვების განლაგება, ანუ აღდგომის დღესასწაული ხდება პერიოდული.

რეობა, რომელიც 21 მარტზე ადრე მოიწევა, მაგალითად 19 მარტს, არ ითვლება საპასექოდ. ამგვარად, თუ მარტის საგვემთვარეობა 19 მარტს დაემთხვა, ჩვენ დავეტყვებთ მას და დაველოდებით საგვემთვარეობას, რომელიც 30 დღის შემდეგ - 18 აპრილს მოიწევა. ამასთან, თუ 18 აპრილი (ე.ი. საგვემთვარეობა) კვირა დღეს დაემთხვევა, აღდგომის დღე მომავალი კვირა - 25 აპრილი იქნება, რომელიც არის კიდევ ქრისტიანული პასექის უგვიანესი ვადა (წმინდა იოანე ოქროპირის თხზულებათა ტ.8 წ. 2. გვ. 968-970).



სპორტი

სპორტი

დათო ხუციანილი ევროპის ვიცე-ჩემპიონია!



ესტიმული ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ბელგრადში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა, სადაც იგი თავის ჩვეულ 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.

დრე გოსტიევი ჩამოიცილა, თანაც ისე, რომ არც ერთი მათგანისათვის არათუ სეტი, ერთი ქულაც კი არ დაუთმია. საფინალო ბრძოლაში კი ფორტუნამ ზურგი შეაქცია და ვითაც - გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდა რუსეთის წარმომადგენელთან, რაშიც ალბათ გადაწყვეტი რელი მეტოქის გამოცდილებამ და ტიტულმა იქონია.

მუდამ წარმატებები იყოს მისი თანამდევნი სპორტულ არენაზე.

მატულაობის სპორტულ ასპარეზობაში რიცხვი და შესაბამისად, საგარეჯოელ ფალანგნა წარმატებები. წლის დასაწყისიდან ჯერ სამიოდ თვეა გასული და უკვე ბევრი ჩვენი მოჭიდავე შევიდა საქართველოს ახალგაზრდულ თუ ჭაბუკთა ნაკრებში. გაგვახარა მარტის თვეში 1999-2000 წლიანთა შორის ძიუდოში საქართველოს პირველობაზე გუგა მღებრიშვილის წარმატებამ, რომელიც ჩემპიონი გახდა 38 კილოგრამ წონით კატეგორიაში და საქართველოს ნაკრებში გარეჯელთა კიდევ ერთი წარმომადგენელი გახდა.

50 კილოგრამ წონით კატეგორიაში

წარმატება ანტალიაში

მესამე პრიზიორი გახდა საქართველოს ნაკრებში ახლახან დამკვიდრებული ირაკლი კუპატაძე. 60 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა კობა მჭედლიშვილმა, ხოლო ნიკა მოველიძე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 81 კგ წონით კატეგორიაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ სამივე ჩვენი ძიუდოისტი ახალი შეყვანილია საქართველოს ნაკრებში და აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სარბიელზე თავიანთი დებიუტი ამ არც თუ ურიგო შედეგებით აღნიშნეს.

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ფალანგებს მომავალშიც.

რესპუბლიკის ნაკრებში

ძიუდო, სამბო

ჩვენი გახეთის 1-15 თებერვლის ნომერში მკითხველს მივაწოდეთ ინფორმაცია საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ძიუდოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის ჩატარებული კახეთის რეგიონული პირველობის შესახებ, სადაც გამარჯვებული 9 საგარეჯოელი კომანოსანი შეყვანილი იყო მხარის ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებდნენ საქართველოს პირველობაზე. და აი, 25-26 თებერვალს თბილისში ეს ჩემპიონატიც ჩატარდა, რომელშიც მონაწილე კახეთის რეგიონულმა ნაკრებმა საპატიო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

მხარის ნაკრების ამ წარმატებაში საგარეჯოელთა მხრიდან დიდი წვლილი შეიტანა და 50 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი მანაველი ძიუდოისტი ირაკლი კუპატაძე გახდა. თანაუნდელის წარმატება გაიმეორა და 60 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესის სახელი კიდევ ერთმა საგარეჯოელმა ძიუდოისტმა - კაკაბეთელმა კობა მჭედლიშვილმა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მან ფინალი სუფთა გდებით მოუგო ქვემო ქართლის ნაკრების გორელ წარმომადგენელს.

საქართველოს ჩემპიონობის შანსი ნახევარფინალურ შეხვედრაში ხელიდან გაუშვა 81 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩვენმა ფალანგმა ნიკა მოველიძემ, რომელსაც გაფრთხილებით ჩაეთვალა წაგება. მიუხედავად ამისა მან მაინც შეძლო ძალთა მობილიზება, ორი გამარჯვება იხეიმა და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. სამწუხაროდ ფეხის ტრავმის გამო ასპარეზობაში ვერ მონაწილეობდა ჩვენი დიდჩაიღურელი ძიუდოისტი, ევროპის ვერცხლისა და ევროპის ოლიმპიური ფესტივალის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი თამაზ კირაკოზაშვილი, რაც საკმაოდ დიდი დანაკლისი გახლდათ გუნდისათვის. თუმცა, როგორც ვნახეთ, კახელებმა თავიანთი სიტყვა მაინც თქვეს ასპარეზობაზე.

ამჟამად ჩვენი ეს ფალანგები შეყვანილი არიან საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში და განაგრძობენ წვრთნას. ვნახოთ, იქნებ ფორტუნამ მათაც გადმოხედოს და ყველა თუ არა, ერთ-ერთი მაინც აღმოჩნდეს ქვეყნის სახელით ევროპისა და მსოფლიო პირველობის მონაწილეთა შორის.

\*\*\*

28-29 თებერვალს კი საქართველოს დედაქალაქმა უკვე სამბოში უმასპინძლა ქვეყნის ჩემპიონატს 1994-1995 წლიან ჭაბუკთა შორის. ჩემპიონატში სხვებთან ერთად რვა საგარეჯოელი სამბისტიც იღებდა მონაწილეობას. მათგან იმარჯვა და 60 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ზაზა როსტომაშვილი.

ჩემპიონობის დიდი შანსი ჰქონდა 56 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩვენს სამბისტს თორნიკე თედიაშვილს, რომელმაც ფინალი დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ფინალში გადასასვლელი შეხვედრის წაგების გამო მესამე ადგილები ხვდათ ზაურ მამარდაშვილსა (81კგ) და გიორგი დარისპანაშვილს (75კგ).

დასანანი გამოდგა ვანო მამისაშვილის ასპარეზობა, რომელიც ფეხში მტკივნეული იღეთის შესრულების შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას. ასეა თუ ისე, ჩემპიონატის საპრიზო ადგილებზე გასული საგარეჯოელი ჭაბუკი სამბისტები შეიყვანეს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში და ასეთი შედეგი ჩვენს მოჭიდავეებს კარგა ხანია არ უჩვენებიათ.

ნაკრებში შეყვანილი ჩვენი მოჭიდავეები ახლა ევროპის მოახლოებული ჩემპიონატისათვის ინტენსიურ წვრთნებს გადიან, რაც უახლოეს 3-4 კვირაში ჩატარდება.

სიღნაღში, კახეთის რეგიონულ პირველობაზე

17-19 მარტს

სიღნაღში ჩატარდა კახეთის რეგიონული პირველობა ჭადრაკში 14 წლამდე ვაჟთა და გოგონათა შორის. პირველობაში მხარის სხვა მოჭადრაკეებთან ერთად ასპარეზობდნენ საგარეჯოს აიპ საგარეჯოს №69 სასპორტო სკოლის მოჭადრაკეები: ილია კურდღელაშვილი, ნინო მელაშვილი, ერეკლე კავთუაშვილი და ლევან დიდმელაშვილი. მათგან პირველობის ჩემპიონი გახდა ილია კურდღელაშვილი, რომელმაც გადაწყვეტ შეხვედრაში სძლია ნინო მელაშვილს და ეს უკანასკნელი II საპრიზო ადგილზე გავიდა.

ქალაქი

ერეკლე კავთუაშვილმა კოფიციენტების მიხედვით III-IV ადგილები გაიყო. რაც შეეხება ლევან დალბაშვილს, მართალია იგი პრიზიორთა რიგებში ვერ მოხვდა, მაგრამ დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით, როგორც ასპარეზობის ყველაზე პატივრამ მონაწილე და თავის ასაკში საუკეთესო მოჭადრაკე.

გვერდი მოამზადა: გივი დაბახიშვილი

მხოლოდ

ერთი მესამე

თავისუფალი ჭიდაობა

გასულ თვეში თბილისმა უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს ჭაბუკებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საგარეჯოს 69-ე სასპორტო სკოლის ნაკრები გუნდიც იღებდა მონაწილეობას. გუნდში გამოდიოდნენ ჩვენი ისეთი ცნობილი მოჭიდავეები, როგორებიც ჭაბუკებში გასული წლის ჩემპიონი ლევან როტიკაშვილი, საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ზურა ერბოლწონაშვილი, ევროპის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებში ბექა პეტრიაშვილი და თორნიკე ასრათაშვილი არიან. გუნდის მწვრთნელები ამ ჩემპიონატში მათზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, თუმცა რეალური შედეგის ჩვენება მათგან მხოლოდ ბექა პეტრიაშვილმა შეძლო, რო-

მელიც ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 84 კგ წონით კატეგორიის მოჭიდავეებში.

ამჯერად პირცხლი

2-3-4 მარტს ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს ძალთა მორიგი გამოცდა ჰქონდათ. ჩატარდა ცნობილი ქართველი ფალანგის ზარიბეგ ბერიაშვილის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველ მოჭიდავეებთან ერთად ახერბაიჯანელი და სომეხი ფალანგებიც სცდიდნენ ბედს. საგარეჯოელთაგან ამ ტურნირზეც მხოლოდ ერთმა მოჭიდავემ შეძლო საპრიზო სამეულში ადგილის დამკვიდრება. ეს გახლავთ 76 კგ წონით კატეგორიაში მონაწილე გიორგი ბეჟიაშვილი, რომელმაც ფინალი დათმო ქუთაისელ ომარ გურჯიძესთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

აღმოსავლეთ საქართველოს

ზონალური პირველობა საგარეჯოში

ქართული ჭიდაობა

მარტს ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი ოთარ ყურაშვილი) საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ჩატარა აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ კახეთისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების, ყვარლის, თელავის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, დმანისის, ბოდბის, მარნეულის, რუსთავისა და გარდაბნის რაიონების 1996-1997 წლებში დაბადებული მოჭიდავეები.

პირველობაზე საპრიზო ადგილები რვა წონით კატეგორიაში გათამაშდა, საიდანაც საგარეჯოელმა ფალანგებმა ორი პირველი, ამდენივე მეორე და სამი მესამე საპრიზო ადგილის დაკავება შეძლეს. საინტერესოა

ისიც, რომ ზოგიერთ წონით კატეგორიაში საფინალო ორთაბრძოლები საგარეჯოელებს შორის ჩატარდა. კერძოდ 55 და 60 კილოგრამში. პირველ წონით კატეგორიაში ფინალში ერთმანეთს ჩვენი მოჭიდავეები თორნიკე მათიაშვილი და ბექა სუკასიანი დაუპირისპირდნენ, სადაც გამარჯვებული პირველი მათგანი დარჩა. 60 კგ წონით კატეგორიაში კი სამივე საპრიზო ადგილი ჩვენმა მოჭიდავეებმა: მანაველმა ზაქაროვი, ვიკტორიამ, ოთარ კაციაშვილმა და ბექა ტერტერაშვილმა გაინაწილეს, რომელთაც შესაბამისად I-II და III ადგილები დაიკავეს.

პირველობას, რომელიც ქართული საჭიდაო მუხის თანხლებით ჩატარდა, ქართული ჭიდაობის ბევრი საგარეჯოელი და ჩამოსული გულშემბატყვარი ესწრებოდა.

კახეთის სახელით - საქართველოს პირველობაზე

მას წინათ ახმეტის ზვიად ზვიადაურის სახელობის სპორტდარბაზის ტატამზე ჩატარდა კახეთის რეგიონული პირველობა ძიუდოში 1999-2000 წლიან კომანოსნებს შორის. ასპარეზობა ძიუდოს შემდგომ პოპულარობასთან ერთად მიზნად ისახავდა კახეთის რეგიონული ნაკრების დაკომლექტებას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ამ ახლო მომავალში გამართულ რესპუბლიკურ პირველობაში.

ასპარეზობაში მხარის სხვა ძიუდოისტებთან ერთად ძალებს საგარეჯოელი ძიუდოისტებიც სცდიდნენ, რომელთაც რეგიონულ პირველობაზე ორი პირველი, ოთხი მეორე და ორი მესამე ადგილის დაკავება შეძლეს. კერძოდ პირველობის ჩემპიონები თავიანთ წონებში გახდნენ ამირან დარბაისელი და ლაშა ხატიაშვილი, მეორე პრიზიორები: ლევან ხაბარელი, გიორგი მღებრიშვილი, ნიკა ბასილაშვილი და თორნიკე ვილაური. მესამე პრიზიორობა იხეიმა ილია ელერდაშვილმა და დავით კურდღელაშვილმა. ყველა ამ ჩვენს მოჭიდავეს შეიყვანნენ კახეთის რეგიონულ ნაკრებში და იასპარეზებენ საქართველოს პირველობაზე.

# იუბილე

# იუბილე

## ბაბული მათიაშვილი:

### მთაწმინდა უბან მიტოვების კვლევა...



კი ერთს ვერცხვით: – ბაბული, შენ ყოველთვის ამშვენებდი საგარეჯოს, საგარეჯოს ინტელიჯენციას და დღესაც ასეა, თმაშვერცხლილიც ამშვენებ საგარეჯოს და შენს ყველა მეგობარს, ამხანაგს, შინაურს თუ უბრალოდ, რიგით ქართველ თუ არაქართველ მოქალაქეს, ყველას გვეიმედები. ეს იმედი დამერბოდა არ მოგვიშალოს, სიყვარული და სიბოლო კი მართლაც დამსახურებულად გაქვს ჩვენგან...

ბ-ნი ბაბული სულ რამდენიმე კითხვაზე გვპასუხობს 60 წლის გადასახედიდან. გვპასუხობს გულწრფელად, ალაღად, სითბოთი, ისე, როგორც მას სჩვევია – ბაბული მათიაშვილი. კითხვები: ოჯახი, მეგობრები, მოგონებები, მამამისი შაღვა, იტალია და ბაბული, 60 წელი – ბევრია თუ ცოტა?!

#### ოჯახი

მეუღლე მანანა პაპაშვილი, საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის პედაგოგი

#### შვილები:

თათია მათიაშვილი, მუშაობს შპს „ავერსის“ კომპანიაში;

მარიამ მათიაშვილი, მუშაობს შპს პროკრედიტბანკში. რამდენიმე თვის წინ გათხოვდა. მყავს კარგი სიძე და კარგი მძახლები. გარკვეულწილად გული მწყდება, რომ გადაწყვიტეს რამდენიმე წელი საზღვარგარეთ იცხოვროს.

#### მეგობრები

– აღრინდელ პერიოდში ადვილი შესაძინე იყო, რომ ერთმანეთთან მეგობრობდნენ ერთი წრის, ერთი დონის ოჯახის შვილები, რომლებიც გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. საბუნდოვანად, დღეს ეს იმდენად არ შეიძინევა და დადებით ტენდენციადაც მიმდინია.

მე შერჩევითი მეგობრები არასოდეს მყოლია და დღემდეც ასე მოვიდვარ. უნდა იმეგობრო ისეთ ადამიანებთან, ვისაც შენი ესმის და ვისთანაც თავს თავისუფლად გრძნობ. საბუნდოვანად, ბევრი მეგობარი მე ავდა და მყავს. სამწუხაროა ის, რომ ბევრი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის, რაც ჩემთვის ძალიან სამწუხაროა და ძველია

ამას შეეგუო...

სშირია კამათი იმაზე, თუ რამდენი მეგობარი შეიძლება ჰყავდეს ადამიანს. ჩემი აზრით, ეს სულაც არ არის საკამათო თემა. ყველაფერი ადამიანზე დამოკიდებული, შეიძლება გყავდეს ერთი, შეიძლება გყავდეს ოცი.

რაც სიმბოლური დამთხვევაც არის, რომ აპრილის თვეში უსრულდებოდა 60 წელი ჩემს მეგობრებს: თამაზ შოენაძეს, შოთა ბორაშვილს, მის მეუღლეს ღია ყორღანაშვილს. ჩვენ თანაკლასელებიც ვართ.

#### მეგობრები

საბუნდოვანად, როგორც ყველა ჩვეულებრივ ადამიანს, მოგონებები ჩემს გარშემოც საკმაოდ ბევრია, მაგრამ რომელიმე გამყოფა და საზგასმა ნამდვილად მიჭირს. გარკვეულად ცუდია, როცა წლები გემატება და მოგონებების ამარაღა რჩები, მაგრამ სამაგიეროდ, სხვა საზრუნავი მატულობს – შვილები და რა თქმა უნდა – შემდეგ – შვილიშვილები. შესაძლოა ამ საკითხზე უფრო მეტად ჩემი მეუღლე ზრუნავს, მაგრამ ვცდილობ, რომ ტვირთი თანაბრად გავიანაწილო.

რა თქმა უნდა, კარგ მოგონებად არ ჩაითვლება, მაგრამ ამ ფაქტმა მეგობრად ერთი ლამაზი ოჯახი შემიძინა. 1998 წელს, როცა ავტოავარიაში მოვეყვი და უგონოდ, კრიზისულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, სანამ სასწრაფო დახმარება მოვიდოდა, რიგითმა გამგელმა უცნობმა, პროფესიით ექიმმა, აღმომიჩინა პირველადი დახმარება, რომელმაც შესაძლოა სიკვდილს გადაამჩინა და თავისი გზა განაგრძო. როცა ყველაფერმა ჩაიარა ამ ადამიანის მოძებნა არც თუ იოლი აღმოჩნდა, რასაც თავისი კურიოზებიც ახლდა. დათო მეტრეველის და მათა წერეთლის ოჯახი რუსთაველი დღეს ჩემი ახლობელი ოჯახია. მათი შვილი ჩემი ნათლულია.

#### შაღვა – იტალია – მე

– ჩემი აზრით იტალია ყველა ადამიანისათვის საინტერესო ქვეყანაა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ის ფაშისტების სამშობლოდ ითვლება და მეორე მსოფლიო ომის დროს მოგლელების ეპიცენტრში იმყოფებოდა. ბედმა თუ უბედობამ მამაჩემი ომის დროს ამ ქვეყანაში მოახვედრა, როგორც სამხედრო ტყვე და შემდეგ როგორც პარტიზანი და თითქმის სამი წელი, სანამ

ომი დამთავრდებოდა, იტალიაში იმყოფებოდა. დიდი წვალებით სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა და გაეწინა ჩვენ.

ფაშიზმზე გამარჯვებიდან 20 წლის შემდეგ, 1965 წლის ნოემბერში, გახეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ლენინგრადელი ვინმე ანატოლი ტარასოვის დიდი წერილი, სადაც საუბარი იყო იტალიაში ქართველი პარტიზანების შესახებ და გამოქვეყნებული იყო სურათი (ხუთი კაცი), სადაც ერთ-ერთზე მითითებული იყო როგორც უცნობი ქართველი. ეს სურათი კი ჩვენ სახლში გვეჩონდა, რომელიც ომის დროს იტალიაში იყო გადაღებული. ამის შემდეგ, ურთიერთმიმოწერის შემდეგ, მამაჩემმა ომის პერიოდის ბევრი მეგობარი აღმოაჩინა, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, იტალიაში და სხვაგან.

საბუნდოვანად, მე და მამაჩემი 1985 წელს მოვხვდით იტალიაში, რომლის ორგანიზება მოაწყო საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა საბჭომ. ორი კვირის მანძილზე იყო ბევრი შეხვედრები ყოფილ პარტიზანებთან და ჩემდა გასაოცრად, მამაჩემს იტალიელებთან თარჯიმანი არ სჭირდებოდა – იტალიურად საკმაოდ კარგად საუბრობდა. ამის შემდეგ ურთიერთმიმოწერა უფრო ინტენსიური გახდა, ხოლო მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მათთან ურთიერთობა მთლიანად არ დაგვიკარგავს, დღესაც ვაგრძელებთ.

60 წლის ასაკშიც მამაჩემი საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა – იმ ფონზე, რომ შვიდი წლის ომის სიმძიმეს ზურგით ატარებდა – ფიზიკურადაც შრომობდა და სუფრაც უყვარდა – მამა 71 წლის ასაკში გარდაიცვალა.

#### 60 წელი

60 წელი ნამდვილად არ არის ცოტა, მთავარია უკან მიხედვის არ გეშინოდეს ადამიანს. შესაძლებელია ბევრი ღირსეული ვერ შექმნა, მაგრამ შენი არსებობით რაღაც კვალი მაინც უნდა დატოვო. დღეს საქართველოში მართლაც ბევრი რამ კეთდება და მომავალში კიდევაც ბევრი გაკეთდება. ასე ჩვენთან საგარეჯოშიც. ამის არდანახვა შეუძლებელია. მიხარია ის, რომ ამ ყველაფრის ერთი რიგითი მონაწილე მეც ვარ.

ცხოვრების მანძილზე სიხარულიც ყოფილა და მწუხარებაც. ეს ყველა ადამიანის ცხოვრებისეული ხვედრია. როცა ჩემთვის ვფიქრობ, ყოველთვის ერთ დასკვნამდე მივდივარ, სანამ ადამიანი ცოცხალი ახარ, სიკეთე უნდა აკეთო, სუფრაზეც ჩემი მთავარი სათქმელი სადღეგრძელოც ეს არის.

## წითისკოვლის ქუჩაში

### „65 წელია ჩვეთვის ყოველი დღე 8 მარტია“...

სკოლიდან იცნობდნენ ერთმანეთს – მეზუთეკლასელთა პიონერხელმძღვანელი იყო მეშვიდეკლასელი გრიგოლი (გრიშა). დახვეწილი ქცევებით, თავის ასაკთან შედარებით თავდაჭერილი, განათლებული. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ოჯახი შეიძლებული, ყოველთვის წიგნიერების პატივისმცემელი შვილებს სულიერ საზრდოს ანბანის გაცნობისთანავე აძლევდა. ასე წავიდა შემდგომშიც ბ-ნი გრიშას და ქ-ნი თინა მეზურიშვილის ცხოვრების წესიც. 1947 წელს შექმნეს ოჯახი. პირველი შვილი გელაც მალე მოველინა ამ ქვეყანას. მაგრამ, მართლაც ტყვიების წვიმაში ომგამოვლილი ოჯახიანად გადაასახლეს შუა აზიაში, სადაც ორნახევარი წელი

დაჰყვეს. მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გათავისუფლდნენ. 1954 წელს ნანა შეეყვინათ, ოთხი წლის შემდეგ – თემური. ტკბილი, ურთიერთპატივისცემაზე აგებული ოჯახი ჰქონდათ თავიდანვე. დედამთილ-მამამთილი, მულები. ეს ერთი დიდი „აკადემია“ იყო, რომელმაც ბევრი სიკეთე ასწავლა, ისედაც საოცრად ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ ქ-ნი თინას.

ქ-ნი თინა 45 წელი საგარეჯოს საბავშვო ბაგა-ბაღის ექთან-დიეტოლოგი იყო, 5 წელი საგარეჯოს საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში ექთნად. ბ-ნი გრიშა საგარეჯოს საღამოს ცვლის საშუალო სკოლის დირექტორი, პარალელურად ასწავლიდა ისტორიას. დიდი სიყვარულით აღზარდეს

სამი შვილი, ხელი შეუწყვეს, უმაღლესში გააგრძელებინეს სწავლა – გელამ და თემურმა პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრეს, ნანამ – სამედიცინო ინსტიტუტი. სამივემ მუყაითი შრომით საკუთარი კუთხე შექმნა.

დღეს ერთმანეთს ტკბილად შებერებული ცოლ-ქმარი წარსულ დღეებს, წლებს სიამოვნებით ისვენებენ და ჩემთან საუბარშიც არ მალავს ქ-ნი თინა ამ ბედნიერებით გამოწვეულ კმაყოფილებას: – ჩემთვის ამ 65 წელიწადის ყოველი დღე 8 მარტია, შვილო, ჩემი მეუღლე ოჯახზე მზრუნველი, პატივისმცემელი და ნამდვილი ბურჯია დღესაც.



არ მახსოვს, სახლში ცარიელი შემოსულიყოს, ყოველთვის ოჯახზე, შვილებზე შეყვარებული კაცია. ბედნიერი ვარ დღესაც, რომ შვილებს სიკეთის ქმნა, მზრუნველობა საკუთარი მაგალითით შეასისხსხორცა.

ზამთრის თოვლიან-ყინულიანი დღეები ღუმელთან გაატარეს, ნინის მოლოდინით – სკოლიდან დაბრუნებული ნაადრევად დადინჯებული ნინი ათასნაირ სიხალეს აცნობთ ბებია-პაპას. მიმოზის აყვავებას ელოდებიან ნანაც და ნინიც. იციან, ბებოს ძალიან უყვარს, ადრე პაპას მოჰქონდა მასთან მიმოზა, ახლა ნანა და ნინი ყიდულობენ. პოდა, ახლაც მიულოცავენ მიმოზებით გაზაფხულს საყვარელ დედას და ბებიას.

თინა ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინა ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488